საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — [illegible] კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

კვირა, სექტემბრის 4 1921 № 13

ფასი 500 მანეთი

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 10,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი, დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტრიბუნიდან

10.

### ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკა და შეთანხმება.

არსებითად, ფორმალურად, ყოველის მხრივ სადი ეროვნული მიმართულება რევოლიუციური ფაქტორია თანამედროვე მოძრაობაში. ვინც კიდევ იმას ფიქრობს, რომ ნაციონალური დარაზმვა დღეს უშლის ხელს რევოლიუციას მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ამის ავტორი ნამდვილი შავრაზმელია, კონტრ-რევოლიუციონერი, ვინაიდან ნაციონალური თავისუფლებისათვის ბრძოლა დღეს, რევოლიუციის პროცესში თუ არ მოხდა, მაშ როდის და უნდა მოხდეს. მემარცხენე სოციალისტურ წრეებში საერთოდ მიღებულ აზრად ითვლება, რომ ჩვენ ვიმყოფებით გარდამავალს პერიოდში და თანამედროვე მოძრაობას მოჰყვება სოციალისტურ წყობილების დამყარება. სოციალიზმი ნიშნავს ყოველ ჩაგვრის უარყოფას, ესე იგი სოციალიზმის დროს საარსებოც და საჭიროებაც არ უნდა იყოს თანამედროვე ხასიათის ეროვნული თავისუფლების ბრძოლისათვის. აქედან აშკარაა, რომ ვინც დღეს უარყოფს ერთა დარაზმვით ბრძოლების წარმოებას ის საზოგადოდ უარმყოფელია ერის, როგორც ასეთის არსებობისა, ეროვნულ ბრძოლების წარმოებისა, ვინაიდან მხოლოდ დღეს შეიძლება მწვავე კლასობრივი და ეროვნული კამპანია, როგორც ჩაგვრის და არსებობის უკანასკნელს ხანაში. კაპიტალიზმის ისტორია ეხლანდელი საერთაშორისო რევოლიუციით თავდება. იქმნება ახალი პირობები ახალი სოციალური ურთი-ერთობისა და ის, ვინც კაპიტალიზმის ლიკვიდაციის პროცესში სდუმს—აშკარა რეაქციური ძალაა. ბევრ კომუნისტს სურს ამ ხანაში ერი, როგორც რასიული ავრევატი, სდუმდეს. ეს ერის თვითმკვლელობაა. ეროვნული ჩაგვრა კლასობრივ ჩაგვრაზე მძიმეა, ეროვნული ბრძოლა კლასობრივ ბრძოლაზე ღრმა და ფართოა. რევოლიუციაში ფრთების გაშლა და დიდი ბრძოლების წარმოება დაჩაგრულ ერების ბუნებრივი სტიქიაა, კონდიციონი ქუჩა ნონაა ბედშავ ერის მ მავალისა.

თანამედროვე მომენტი იმპერიალიზმის მომენტია, ფინანსიური კაპიტალის პერიოდია, ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალიზმი აწვება არა მარტო კლასს—პროლეტარიატს, არამედ ერებსაც. პროლეტარიატის დიდი ბრძოლები პირველ დაწყებითი კაპიტალიზმის დროს ეკუთვნოდა, დღეს კაპიტალიზმის დამთავრებული ფორმა ერების გენერალური ჩაგვრაა და აქ პირველი როლი დაჩაგრულ ერებს ეკუთვნის. თანამედროვე საერთაშორისო რევოლიუცია გაიმარჯვებს როგორც ეროვნული რევოლიუცია, ან სრულიად ვერ გაიმარჯვებს. განა ყველა თანამედროვე მოვლენა ამის ცოცხალი საბუთი არ არის? რუსეთის და გერმანიის რევოლიუცია პროლეტარიატის ბრძოლის ნაყოფი კი არ არის, არამედ ნაციონალურ პროლეტარიატის, ნაციონალურ მასსის, რუსეთის რევოლიუციაც და გერმანიის რევოლიუციაც მხოლოდ მაშინ წარმოიშვა, როცა პირველსაც და მეორესაც ნაციონალური უბედურება წარმოუდგათ წინ. კატეგორიულად შეიძლება ითქვას, თანამედროვე რევოლიუციის სათავე დაგუბებულ ეროვნულ ჩაგვრასა და ტანჯვაშია. ეროვნულად გაბატონებული საფრანგეთი და ინგლისი თავის მრავალრიცხოვან პროლეტარიატით სდუმს და მისი რევოლიუციონური ენერგია არა სჩანს. პირველ დაწყებით კაპიტალიზმის ხანაში ინგლისის მუშა ხარგსიესის და უატის მანქანებს ამსხვრევდა, ინგლისის მწერლები ტომას მოორის და ვილიამ გოდვინის ხმაზე ლაპარაკობდნენ, საფრანგეთი ხომ უფრო იყო სანკიულოტების, საცა კაცე კომუნიზმის დროშას აფრიალებდა, ხოლო მთელი სკოლა რაციონალისტებისა ურყევად და მსოფლიოს თავისუფლებაზე გალობდნენ. დღეს ყოველივე ეს შეცვალა კერზონით და ბრიანით, ქულით და ჰენდერსონით. იმიტომ კი არა, რომ დღეს ლონდონსა და პარიზში ნაკლებ რიცხოვანი მუშები არიან, ან ნაკლებ განვითარებულნი, არა, პირველშიაც და მეორე ქვეყანაშიაც დღეს გაცილებით მეტი მუშაა, გაცილებით განსწავლული, შეკავშირებული, მაგრამ თანამედროვე რევოლიუციებისათვის ეს არ კმარა. თანამედროვე რევოლიუციებისათვის საჭიროა ახალი ფაქტორი, ჩაგვრის უმწვავესი და კლასიკური ფორმა—ესე იგი საჭიროა ეროვნული გენია, დაჩაგრულ ერის სული, მისი გრძნობა, მისი ბედი, რომ ბუმბერაზ იმპერიალიზმის დროშას დაუპირისპიროთ სოციალისტური დროშა. ამიტომაა: ეხლანდელ გრანდიოზულ რევოლიუციებს ეპატრონება არა ძველი ჩაგვრის ელემენტი—მუშა, არამედ ახალი დიდი ჩაგვრის დიდი ელემენტი—დაჩაგრული ერი, ეროვნულად დაჩაგრული მუშა. გადახედეთ სინამდვილეს. პროლეტარიატის სამშობლო დასავლეთი ევროპაა, იგივეა თანამედროვე რეაქციის ყაზარმები, თანამედროვე ჩაგრულ ერების სამშობლო-ღმთისავლეთის მიმართულებაა, აქვეა რევოლიუციის ბუდეც. და თუ ევროპაც ბოლოს და ბოლოს ეხვევა რევოლიუციის ალში ეს იმდენად ხდება, რამდენადაც ევროპის წინაშე იშლება საფრთხე ეროვნულად ბატონობის დოკვაისა. მოსპევით დასავლეთ ევროპის ეროვნულად ბატონობის მიზეზი და თქვენ მყისვე მიიღებთ გრანდიოზულ რევოლიუციას. ესე იგი მთელი თანამედროვე რევოლიუცია იკუმშება და იშლება უმთავრესად და მხოლოდ რევოლიუციონურ ეროვნულ ელემენტით სხვა სოციალური ელემენტი დანართია მხოლოდ დიდი თანამედროვე ეროვნულ-სოციალისტურ ბრძოლების.

ამიტომ რევოლიუციის პროცესში არა თუ ნაკლები, პირიქით, უმთავრესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა დაჩაგრულ ერს აქვს. ვინც პირდაპირ თუ არა პირდაპირ რევოლიუციაში არ რაზმავს ერს, ის უდიდესი რეაქციონერია, ვინც დაჩაგრულ ერს რითიმე აღიზიანებს დღეს—იგი რევოლიუციის დაშლას და დამსხვრევას ემსახურება. რევოლიუციის პროცესში საჭიროა დაჩაგრულ ერის ადამიანები, მისი რევოლიუციონურეროვნულ მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილება—რომ თან და თან გაიშალოს ბრძოლის ხალისი და ენერგია. რევოლიუციის შემდეგ კი არა, რევოლიუციის პროცესში უნდა სრულ ვქმნათ ერი, ჩამოვაყალიბოთ მისი სახე, ალუდგინოთ იმპერიალიზმით შერცხვენილი ენა, შებღალული რწმენა, მიჩქმალული ჩვეულება, ადათი, ზნე, ცხოვრება. იმპერიალიზმი უარყოფდა ერების აღდგენას, ერების დარაზმვას, ერების თავისუფლებას, რევოლიუცია, პირიქით, მოითხოვს ერების აღდგენას, ერების დარაზმვას, ერების მიდებას. იმპერიალიზმს ემსახურება ის, ვინც აშკარად თუ მალულად არ რაზმავს ერებს, არ აღადგენს ერს, არ ემსახურება ეროვნებას, მაგრამ იმპერიალიზმს კიდევ უფრო ემსახურება ის, ვინც რევოლიუციის მეჭურჭლე, ირიცხება, რევოლიუციის ხმაზე ლაპარაკობს, დალადებს ერების თავისუფლებას, მაგრამ საქმით, სულით, გრძნობით შლის ერის ცხოვრების ნიშანდობლივ თვისებებს, ასუსტებს ერის ენას, ერის ტერიტორიას, ერის სახელმწიფოს. ჟორჟესა და მილერანს აქ ქუაზირევოლიუციონერებით რევოლიუციაში საუკეთესო ნოქრები ჰყავთ, რომელნიც რეაქციას დიდ სამსახურს უწევენ. ამ ნაძირალა ელემენტების წინააღმდეგ ცეცხლის კოცონი უნდა დაინთოს, სადაც ალის სუსხში დაითანქოს მისი არსება, როგორც რევოლიუციის მწვალებელისა.

დაჩაგრული ერი მთელი თავის არსებობით რევოლიუციური ელემენტია. ის სხვას თავს კი არ ესხმის, თვითარსებობას იცავს, ის აგრესიული კი არაა, ნეიტრალურია. სხვის ენას კი არ შლის ან ზღუდავს, თავისას ემსახურება, სხვის მამულს კი არ ანგრევს, თავისას აშენებს. ძველი მუშები მოითხოვდნენ ხელფასს და სოციალისტებმა მოძღვრება შექმნეს—სიმდიდრე მუშას ეკუთვნისო. ეს რევოლიუციონური მოძღვრება იყო. ასევეთივე რევოლიუციური მოძღვრებაა პროლეტარული ნაციონალიზმი, რომლითაც სამშობლო ერს ეკუთვნის. შრომის ნაყოფი—მუშას, სამშობლო—ერს! — ეს ერთი და იგივე შინაარსის ლოზუნგია ერთნაირივე ღირებულების. უნდა დავიცვათ ერთიც და მეორეც.

რევოლიუცია დიდი ტაძარია განწმენდისა. ეს ტაძარი დღეს გაჭედილია დაჩაგრულ ერებით, სადაც ეროვნული ჰიმნები წითელ ჰიმნებად იშლებიან სამყაროს. გავშალოთ ჩვენი ეროვნული ჰიმნიც ჩაგრულ ერის ბრძოლის უსაზღვრო სიძლიერით და ჩვენ რევოლიუციასაც გავასალკლდევებთ, ახალ ჯგუფებს მოვუყრით თავს, ბევრს შევათანხმებთ, შევარიგებთ, რევოლიუციის საქმეს ძმათა საქმედ გადავაქცევთ.

მაგრამ აქ ისევ ახალი კითხვა—რას ვაკეთებთ და რას უნდა ვაკეთებდეთ?

თედო ღლონტი.

## კომპარტიის გაწმენდა

ერთი ბრძენი ამბობდა: მითხარით ვინაა თქვენი მეგობარი და გეტყვით ვინ ხართ თვითონ თქვენაო. რომ ცუდი მეგობრები სახელს უტეხს კაცს და ორივესათვის ხელსაყრელი არაა, ეს კარგად იციან ბოლშევიკებმა და ამიტომ ოფიციალურად დიდ ყურადღებას აქცევენ პარტიის სიწმინდეს. რა ხდება შინაურულად ჩვენ არ ვიცით, მაგრამ მუდამ სიწმინდეზე და განწმენდაზე ლაპარაკი გვიმტკიცებს, რომ მავნე ელემენტები ახერხებენ პარტიაში მოკალათებას. ცნობილია, რომ მმართველ პარტიისაკენ ლტოლვა ახასიათებს კარიერისტებს და საზოგადოების ისეთ ელემენტებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან „ხელის მოთბობით". ეს ბუნებრივია და ვერც ერთი მმართველი პარტია სავსებით ვერ გაიწმინდება ასეთი ელემენტებისაგან. მიუხედავად ამისა ყოველი პარტია მაინც უნდა ცდილობდეს ამგვარი ხალხის ჩამოშორებას.

მაგრამ ეს მაინცა და მაინც ისეთ დიდ საკითხათ არ მიგვაჩნია, რომ საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ. საქ. კომ. პარტია ჩვენ გვაინტერესებს დღეს, როგორც საქართველოს მმართველი პარტია. საქართველოს მშრომელი ხალხი ფიზიკურ დარაჯად უდგას თავის ეროვნულ-კლასობრივ ინტერესებს და მისთვის სულ ერთი არაა, ვინ ჰქმნის მმართველი პარტიის პოლიტიკას, ან ვინ როგორ ატარებს მას ცხოვრებაში.

კომუნისტურ პარტიას ერთი დიდი ნაკლი აქვს ჩვენში: ესაა უცხო ელემენტების სიჭარბე, მაგრამ ამასაც შეურიგდებოდა კაცი დროებით, რომ ამ უცხო ელემენტების კომუნისტობა სარწმუნო იყოს: ჩვენ არ ვლაპარაკობთ, რა თქმა უნდა, ყველა უცხოელებზედ, მაგრამ ჩვენ ძალიან გვაეჭვებს თითქმის ყველა უცხოელების გაკომუნისტება საქართველოში. ამ მოვლენას, ჩვენ ვფიქრობთ, კავშირი აქვს არა კომუნიზმთან არამედ შოვინიზმთან. საქართველოში ძალიან ბევრი შოვინისტები იყო და მოქმედებდნენ ჩვენი ერის წინააღმდეგ. ესენი არ იყვნენ მაშინ კომუნისტები და მენშევიკებსაც ვერ ურიგდებოდნენ, როგორც სოციალისტებს. ესენი იყვნენ უმთავრესად ძველი მოხელეები, ჭეშმარიტი რუსები და ლენინელები. იყვნენ აგრეთვე დაშნაკელები და რუსი ესერები. ყველა ესენი იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. სადაა დღეს ეს ხალხი? სად გაჰქრნენ, რომ მათი არაფერი ისმის! მენშევიკები, სოც.-ფე—ები, ქართველი ესერები ვიცით სად არიან. ეს ხალხი კი არსად სჩანს. ზოგ მათგანს დღეს კომუნისტებში ვხედავთ და ეს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ ანტიქართველურმა ელემენტებმა მასიურად შეაფარეს თავი კომპარტიას ან ყოველ შემთხვევაში ძალიან დაუახლოვდა მას. რატომ მოხდა ეს, რა აქვთ საერთო კომპარტიასთან უცხო ტომელ შოვინისტებს?

ამის მიზეზი უეჭველად შემდეგია. რუსეთის ჯარის შემოსვლა საქართველოში როგორც მენშევიკებმა, ისე უცხოელებმა გაიგეს, თუ უნდათ გაიგონ, როგორც საქართველოს დაპყრობა. ეს მენშევიკებისათვის აუცილებელია, რომ ქართველი ერი დაუპირისპიროს ბოლშევიკებს. სხვა გამოსავალი მათ არ დარჩენიათ. მუშათა კლასს ბოლშევიკები ანიჭებენ მთელ ძალა-უფლებას. მაშ ამ კლასის საშუალებით ძალა-უფლებისათვის ბრძოლა მენშევიკებს ხელიდან გამოეცალათ. დარჩათ ერთად-ერთი გზა: რუსეთის დახმარებით ბოლშევიკების გამარჯვება გამოაცხადონ საქართველოს დაპყრობად, ერის დამონებად და ამის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდონ მთელ ერს, ყველა კლასებს. თუ ამ ბრძოლაში გაიმარჯვეს, ძალა-უფლებას ისევ მენშევიკები იგდებენ ხელთ. როგორც ხედავთ, ერი, ეროვნული ბრძოლა მხოლოდ საშუალებაა მენშევიკებისათვის. მიზანი კი ბატონობის დაბრუნებაა. ამიტომაც არაფისა სწამს მენშევიკების ეროვნული პოლიტიკა, გარდა ბრიყვებისა და გულუბრყვილოებისა.

თუ საქართველოს დაპყრობის ალიარება მთელ ქართველ ერს რაზმავს ბოლშევიკების წინააღმდეგ, სამაგიეროდ ყველა არა ქართველ ნაციონალისტებს მიერეკება ბოლშევიკებისაკენ. ესენი ივიწყებენ დროებით კლასობრივ ინტერესებს, ურიგდებიან ბოლშევიკების კომუნისტობას საქართველოში და ცდილობენ გამოიყენონ შექმნილი მდგომარეობა თავიანთი შოვინისტური მიზნებისათვის.

ამ რიგად ბოლშევიკების გამარჯვებამ საქართველოში გამოიწვია არა კლასების დაპირისპირება, რაც მათ უნდოდათ, არამედ ერების. კლასობრივი ანტაგონიზმი განელდა, ეროვნული კი გაიზარდა. თქმა არ უნდა, რომ ამ პროცესის ხელოვნურად გაღრმავებას ცდილობენ დაინტერესებული ჯგუფები, მაგრამ სამწუხაროდ ამასვე უწყობს ხელს ზოგჯერ თვით ბოლშევიკების პოლიტიკა, რომელიც სათანადო ანგარიშს არ უწევს პროლეტარიატის ნაციონალურ ინტერესებს. ეროვნული ინტერესების დაუკმაყოფილებლობა კი აბნელებს კლასობრივ შეგნებას და ალვივებს ნაციონალურ ანტაგონიზმს, რაც იწვევს კლასების ალრევას პროლეტარიატის საბოლოო მიზნების საზარალოდ.

ამ მოვლენის თავიდან აშორება შეიძლება მხოლოდ ერთი გზით. სწორი ეროვნულ-კლასობრივი პოლიტიკის წარმოებით, ე. ი. ისეთი პოლიტიკის, რომელიც დააკმაყოფილებს მშრომელი კლასის არა მარტო კლასობრივ ინტერესებს, არამედ ეროვნულსაც. მხოლოდ ასეთი პოლიტიკით შეიძლება გაიწმინდოს შოვინისტებისაგან როგორც კლასი, ისე პარტია.

მიმართვა წევრებისა და მოქალაქეებისადმი, რომ ხელმოწერილი განცხადებით აცნობონ სათანადო ორგანოს პარტიის მავნე წევრები, ფუჭი ცდაა, უმნიშვნელო პალიატივია და სასურველ შედეგს ვერ მისცემს პარტიას, თუ ის არ დაკმაყოფილდება მარტო ოფიციალური განცხადებით—все обстоит благополучно-ო. აწარმოვეთ ისეთი პოლიტიკა, რომელიც არავითარ იმედებს არ აძლევდეს არც ქართველ, არც უცხო შოვინისტებს! აი ჩვენი რეცეპტი კომპარტიის გასაწმენდათ. შოვინისტებზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ საქართველოში ესაა საშიში მოვლენა. რუსეთში პარტია უნდა გაიწმინდოს სულ სხვა ელემენტებისაგან. იქ ეროვნული საკითხი არ არსებობს, აქ კი ერთი ძირითადი საკითხთაგანია და ისეთი ხასიათისა, რომ მისი მოუგვარებლობა ყოველგვარს რევს და გზა-კვალს უბნევს მუშათა კლასს.

ომეგა.

## კაპიტალიზმის დეგრადაცია.

მთელი რიგი ფაქტები გვიმტკიცებს, რომ საქართველოს რეალი პირობები ქმნიან ნიადაგს ჩვენი ქვეყნის კოლონიალი მდგომარეობისას კაპიტალიზმის გამარჯვების დროს. მაშასადამე ერთად ერთი გზა საითაც უნდა ვიდოდეს ჩვენი იდეოლოგიის პრაქტიკული პოლიტიკა, არის გზა რევოლიუციისა, სოციალური მოძრაობისა. ევროპის რევოლიუცია ხსნაა ჩვენი პოლიტიკური სიტუაციის გამტკიცებისა, ჩვენი ეკონომიური აღორძინების უზრუნველყოფისა. მისი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა, მისი დამარცხება ჩვენი დამარცხებაა. არა თუ მარტო ჩვენი სოციალისტური პროგრამით, სოციალისტური შემეცნებით და რევოლიუციონერული ტაქტიკით უნდა ვიდგეთ ჩვენ ევროპის რევოლიუციის ნიადაგზე, არამედ წინდა ეროვნული ინტერესი საქართველოისა, ევროპის რევოლიუციის ნიადაგზე დადგომას მოითხოვს. არა მარტო ყოველი სოციალისტი ჩვენი ქვეყნის, არამედ ყოველი ნაციონალისტი ჩვენი სამშობლოსი ევროპის რევოლიუციის ორიენტაციის უნდა იყოს.

მაგრამ ამ შემთხვევაში უდიდესი კარდინალური საკითხია თვით რევოლიუციის პერსპექტივები, გაიმარჯვებს რევოლიუცია?

ამ დიდი პრობლემის გარჩევის დროს, რომლისკენაც არის დღეს მიპყრობილი ყურადღება მთელი მოაზროვნე კაცობრიობის, განურჩევლად მიმართულებისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ორი უმთავრესი საკითხი.

პირველი კითხვა უნდა ეხებოდეს მომზადდა თუ არა ობიექტური პირობა კაპიტალიზმის დეგრადაციისა? არის თუ არა მეცნიერული საფუძველი იმისა, რომ კაპიტალისტურმა მეურნეობამ თავისი მისია შეასრულა სოციალური ცხოვრების განვითარებაში? ობიექტურად შესაძლებელია თუ არა კაპიტალიზმის ახალი რენესანსი, მისი აღორძინება?

მეორე კითხვა უნდა ეხებოდეს, თუ როგორია სუბიექტური საშუალება სო-

ციალური რევოლიუციისა? რა ფაქტორები ამაგრებენ კაპიტალიზმის საწინააღმდეგო ძალას და როგორია პროცესი თავის მიმართულებით, რომელნიც დღეს ძალთა დაპირისპირებას ქმნიან?

თუ ორივე საკითხის დასამტკიცებლად შესაძლებელი გახდა ობიექტური მასალის დაგროვება, თუ შესაძლებელია დღევანდელ მომენტში, როგორც პირველის, ისე მეორე კითხვის გადაჭრა სოციალური რევოლიუციის სასარგებლოდ, მაშინ ცხადი ხდება მომენტის შეუფასებაც და აშკარად ისახება ტაქტიკის მიმართებაც.

ჩვენ გვაინტერესებს პირველი საკითხის შესახებ ჩვენი მოსაზრების გამოთქმა.

კაპიტალიზმის განვითარება გამოიხატა წარმოების კონცენტრაციაში, წარმოების კონცენტრაციამ ხელი შეუწყო კაპიტალის კონცენტრაციას. დაგროვილი კაპიტალი, ინტერნაციონალური გზებით გაიშალა და ჩამორჩენილ ქვეყნებში შეიჭრა. დიდ სახელმწიფოთა შორის გაიყო მთელი მსოფლიო, როგორც ეკონომიურად ბაზრის მიხედვით, ისე ტერიტორიალურადაც.

კოლონიალური პოლიტიკა შედეგი გახდა ფინანსიური კაპიტალის გამომჟღავნებისა საგარეო პოლიტიკაში. იმპერიალისტური პოლიტიკა უმაღლესი და უკანასკნელი ეტაპია თანამედროვე კაპიტალიზმისა. იმპერიალისტურმა პოლიტიკამ შესძლო თავის საქმის დაგვირგვინება და ამ პოლიტიკისათვის მხოლოდ აზიის ნაწილია დარჩენილი. იმპერიალიზმს საზრდოობის მასალა აღარ გააჩნია. კაპიტალიზმა იმპერიალიზმს ველარ გადაცდა და ვერ შექმნა ახალი ეტაპი თავის განვითარებისა. დღეს იგი ისევ იმპერიალიზმს ეყრდნობა, მაგრამ იმპერიალიზმი თავის მხრით უძლურია თანამედროვე პირობებში. იმპერიალისტურ პოლიტიკას გასაქანი არა აქვს და აქედგან ლოღიკურად კაპიტალიზმის განვითარებას წერტილი ესმის. ფინანსიური კაპიტალი ზოგადათ და მისი სხვა საგარეო პოლიტიკაში, იმპერიალიზმში კერძოდ, აი ის დანასკვი, რომელიც მოგვცა კაპიტალიზმის საბოლაო განვითარებამ. დღეს ბევრი ფიქრობს კაპიტალიზმის გამარჯვებას, მაგრამ გამარჯვება ამა თუ იმ სამეურნეო ორგანიზაციის იმაში კი არ იხატება, რომ მან შესძლოს მოწინააღმდეგეთა მიერ გამართულ ომში გამარჯვებული გამოვიდეს, არამედ გამარჯვების საფუძველი ჩვენ უნდა ვეძებოთ იმ მიმართებაში ეკონომიური ორგანიზაციისადმი, რომლის უზრუნველყოფა შეუძლია ამა თუ იმ სამეურნეო ორგანიზაციას.

შესაძლებელია თუ არა ბოლშევიზმის დამარცხება? შესაძლებელია თუ არა ევროპის მუშათა კლასის დამარცხება ევროპის ბურჟუაზიის მიერ ომის პროცესში? რა თქმა უნდა აქ შეუძლებელი არაფერია.

მაგრამ სწყვეტს თუ არა ეს სავსებით საკითხს, სოციალიზმის დამარცხებისას ამ პროცესში? რა თქმა უნდა არ სწყვეტს.

თუ კაპიტალიზმს ობიექტურად შეუძლია ახალი რენესანსი, თუ კაპიტალისტური მეურნეობას შესწევს ძალა ქვეყნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, მაშინ და მხოლოდ მაშინ შესაძლებელია მისი გამარჯვება და მაშასადამე სოციალიზმის დამარცხება. მაგრამ დღეს რეალად ასეთი მდგომარეობა არ არსებობს.

მაშასადამე, რომ არ არსებობდეს დღეს რუსეთის რევოლიუცია, რომ არ იყოს ევროპაში ნიადაგი რევოლიუციისა, ობიექტურად კაპიტალიზმის განვითარების დასასრული, მისი დეკადანსი ქმნის პირობას სოციალური რევოლიუციისას.

ამ გვარად, ჩვენს წინაშე დღეს სდგას ორი სამეურნეო ორგანიზაცია—კაპიტალისტური, რომელიც ვერ პოულობს ახალ ეტაპს თავის განვითარებისას, რომელიც ვერ ქმნის ფაზას ახალი რენესანსისას და სოციალისტური, რომელიც ებრძვის კაპიტალისტურ მეურნეობას და საკუთარი მეურნეობით ცდილობს ქვეყნის ეკონომიური რენესანს.

ამ ბრძოლის პროცესში აუცილებლად მეორე ფაზამ ორგანიზაციისა გამარჯვებული გამოვა. აუცილებელია კაპიტალიზმის დეგრადაცია და სოციალიზმის გამარჯვება.

მეორე საკითხი და უფრო მეტი რთული თავის შინაგანი ძალებით არის თუ როგორია საზღაურის სოციალური რევოლიუციისათვის. ამ საკითხის გარჩევის დროს ჩვენ წინაშე მთელი ლაბირინტი იხლართება. მრავალი ფაქტორი მამოძრავებელი სოციალური ცხოვრებისა და თანამედროვე სოციალისტური ძალის ანგარიშისა და შესწავლას მოითხოვს.

ხ.

# ახალი ამბები

— **საპროფესიო სკოლის გახსნა.** 2 სექტემბერს გაიხსნა საპროფესიო სკოლა, რომელიც მოამზადებს ინსტრუქტორებს პროფესიული მოძრაობისათვის. სკოლა იხსნება 100 კაცისათვის, ამათში ტფილისს აქვს დათმობილი 41 ადგილი, ბათომს 9, ფოთს 7, ქუთაისს 10 და დანარჩენი ადგილები სხვა პროვინციებს.

— **სასჯელი სახელმწიფო პურის ქურდობისათვის.** 29 აგვ. რევტრიბუნალმა გაარჩია საქმე გიორგი კარელოვის, რომელსაც დაუმტკიცდა სახელმწიფო პურის ქურდობა. რევტრიბუნალმა გადაუწყვიტა მას 3 წლით იძულებითი სამუშაო.

— **პოეტ ბლოკის პიესის დადგმა.** ახლად გარდაცვალებული პოეტი ბლოკის პიესის დადგმა დრამატიულ თეატრის სცენაზე მიენდო რუსული დრამის მსახიობს ერანოვს. პიესა „ვარდი ჯვარი", რომელიც დაიდგმება ჩვენი თეატრის სცენაზე ჯერ არ დადგმულა რუსეთში.

— **უმუშევარ მეთამბაქოეთა ფონდი.** მეთამბაქოეთა კავშირის პრეზიდიუმს დაევალა შექმნას უმუშევარ მუშათა ფონდი.

# ყველა პარტიულ ორგანიზაციებს

თანახმად ცრ. მთავარ კომიტეტის დადგენილებისა სულ მოკლე ხანში მოწვეულ უნდა იქნეს პარტიული ყრილობა. ამიტომ ცხადდება პარტიულ ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ დელეგატების გაგზავნის უფლება აქვს მხოლოდ ორგანიზაციებს, რომლებმაც მოახდინეს ხელახალი რეგისტრაცია და ა. წ. ენკენისთვის 15-მდე საგანგებო საორგანიზაციო სამეულს მოაწოდიან წერილობით შემდეგ ცნობებს: 1) როდის დასრულდა ხელ-ახალი რეგისტრაცია; 2) ძველი ორგანიზაციაა თუ ახალი; 3) რამდენი წევრი ჰყავს; 4) კომიტეტის შემადგენლობა.

**საგანგებო საორგანიზაციო სამეული.**

**მისამართი რედაქციის.**

# პატარა კუბო

ისევ სხვასთან ხარ. და დარბაზში ჩუმობს ელსმენი.
ჩვეულებრივად მის დარეკა არ გამახარებს.
ვგრძნობ, საღამოსაც გზას აუქცევ ჩემს სახლის კარებს,
რომ ავად გავხდე უკურნებელ ლექსების სენით.

ნეტავ პირველ დღეს მოვეწამლე დედა-ჩემს ხსენით:
არ გავცნობოდი მაგ შენს რითმებს, მაგ შენს არაკებს;
შენ სხვის ალერსი ლეგენდებად შეგავარაყებს
და მე კი, ალბად, შევიქნები ზიზღით სახსენი.

მაგრამ როდესაც, ახალ ტრფობით მობეზრებული,
წამოხვალ ჩემსკენ რომ მაჩუქო კოცნის კრებული,
რომ ვერცხლის ცრემლი ჩემს კალთაზე კვლავ დააგუბო—

არ გაგიღიმებს ძველებურად ჩვენი დარბაზი:
შენის ღალატით დავიმსხვრევი, როგორც არმაზი
და ჩემს მაგივრად დაგიხვდება პატარა კუბო.

**მარიჯან.**

მწვანე კონცხი.

# საუბარი ქართველ მუშებთან

4.

წინა წერილში დაგპირდით ჩამოგვეთვალა რუსეთის რევოლიუციის ზოგიერთი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამაზე ჩვენ გაკვრით უკვე ვილაპარაკეთ, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია უფრო ვრცლათ შევეხო ამ მოძრაობის ერთ მხარეს, რომლის გარშემო ტრიალებს საქართველოს მუშების მთელი გონება, სახელდობრ, კომუნისტური მოძრაობის ეროვნული პოლიტიკა და მისი როლი ამ საკითხში.

მსოფლიო ომმა და რუსეთის დამარცხებამ გამოიწვია დიდი ეკონომიური კრიზისი, ხოლო უკანასკნელმა რევოლიუცია რუსეთში. პირველი სტადია ამ რევოლიუციისა არის სახელმწიფოებრივი უსუსურობისა და ძიების ხანა. ამის საუკეთესო გამომხატველია ეგრედ წოდებული „კერენშჩინა", როდესაც რუსეთმა დიდი პოლიტიკური კრიზისი განიცადა. რევოლიუციონური მოძრაობა თავის თავად გადაიქცა მთელი მსოფლიოს ყურადღების საგნად, რამაც შესაძლებელი გახადა ასეთი განსაკუთრებული მდგომარეობის გამოყენება, მაგრამ კერენსკიმ სრულიად ვერ გაამართლა რევოლიუციის იმედები, რუსეთის სინამდვილესაც ვერ აუღო ალღო და ვერ გამოიყენა რუსეთის განსაკუთრებული მდგომარეობა. რუსეთის ხალხში საუკუნეებით დაგროვილმა ენერგიამ ვერ შესძლო გაჩერება შეზღუდულ პოლიტიკურ ჩარჩოებში, ვინაიდან ამაში ვერ ხედავდა რაიმე მნიშვნელოვან ეროვნულ და რევოლიუციონურ ღირებულებას და დაიწყო ახალი გზის ძიება ეროვნულ ძლიერების აღსადგენად.

სამხედრო ძალა რუსეთისა დამარცხდა, დამარცხდა ისე, რომ სამხედრო ჰეგემონიაზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტი შეიქმნა; ეკონომიურ ჰეგემონიაზე რუსეთი სულ ვერ იფიქრებდა, რადგან რუსეთი ეკონომიურად ყოველთვის ჩამორჩენილი იყო და მით უმეტეს ომის შემდეგ. თითქმის გამოსავალი აღარ იყო. მაგრამ სწორედ ამ დროს დაიწყო ბოლშევიკური მოძრაობა, კომუნისტური რევოლიუცია, რომელმაც ძირ-ფესვიანად შეატრიალა რუსეთის ცხოვრება და სრულიად სხვა პოლიტიკური პირობები წარმოშვა.

კომუნისტების ძლიერება უმთავრესად არც ხიშტებში და არც ეკონომიურ ძლებშია; კომუნიზმი დიდ საფრთხედ მოევლინა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბატონობას და ცხადია მთელი ქვეყნის ყურადღებაც ამ მოძრაობამ მიიპყრო.

კომუნისტური მოძრაობა ძლიერია თავისი იდეალით, თავისი სიახლით და მიუხედავად სუსტი შეიარაღებული და ეკონომიური ძალებისა, მსოფლიოში ძლიერი მეტოქეა. ბუნებრივად რუსეთის სინამდვილე, რუსეთის ხალხი მაგრად მოებღაუჭა ამ მოძრაობას, რომლის წყალობით იგი კვლავ შეიქმნა პირველ ხარისხოვან ერთეულად; რუსეთმა მსოფლიოში კვლავ თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა დაიბრუნა და ჩაერია მსოფლიო პოლიტიკის ფერხულში, იმ განსხვავებით, რომ წინად ის ეყრდნობოდა სულ სხვა ძალას. წინედ ის გამოდიოდა წონასწორობის დამცველად, ეხლა კი ის გამოდიოდა წონასწორობის წინააღმდეგ და მთელს მსოფლიოს უცხადებდა სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას. ამ გვარად რუსეთში ბოლშევიკურმა მოძრაობამ მიიღო უაღრესად რევოლიუციონური და ეროვნული ხასიათი, რაც აუცილებლად დადებით მხარედ უნდა ჩაეთვალოს ამ მოძრაობას. კომუნისტურ მოძრაობას, რომ არ შეექმნა ეროვნული მოძრაობაც, ის დღეს ასე ძლიერი ვერ იქნებოდა და გამართლდებოდა მენშევიკ-ესერების უსაფუძვლო წინასწარმეტყველება: „ბოლშევიზმი რუსეთში სამ თვეზე მეტს ვერ იცოცხლებსო". მაშასადამე რუსეთში კომუნიზმი იყო ეროვნული მოძრაობაც. ამით ერთხელ კიდევ დამტკიცდა ეროვნულ ნიადაგზე მდგარ სოციალისტების და კერძოდ სოც.-ფედერალისტების სწორი პოზიცია და მარქსისტული პოზიციის გაკოტრება ერისა და რევოლიუციის საკითხში.

ჩვენ კი ვამტკიცებთ რევოლიუციამ თუ ფეხი ასე მაგრად მოიკიდა რუსეთში, ეს ძიეწერება ეროვნულ აღტყინებასაც. აბა მიაქციეთ ყურადღება სად უფრო ძლიერია საბჭოთა ხელისუფლება? ცენტრალურ რუსეთში, სადაც მცხოვრებნი ერთფეროვანია, სახელდობრ რუსები, თუ განაპირა ქვეყნებში, სადაც სხვა ერები სცხოვრობენ? ცხადია ცენტრალურ რუსეთში. რატომ? იმიტომ რომ კომუნისტურ მოძრაობას რუსის ხალხისათვის ორნაირი მნიშვნელობა ქონდა საერთაშორისო და ამავე დროს ეროვნული; ეს ორი მცნება ერთს სხეულში გადაიკვანძა რამაც რუსის ხალხი აღაფრთოვანა და ამ დიად მოძრაობაში აქტიურად ჩაითრია. მაგრამ რა მიზეზია, რომ განაპირა ქვეყნები დონი, აზერბეიჯანი, სომხეთი იყო აჯანყებების ბუდე, ხოლო საქართველოში რევოლიუციონური სულისკვეთება მეტად პასიური. მიზეზი აუცილებლად ეროვნული პრობლემის გადაუწყვეტლობაა, თუ ეროვნული მოძრაობა მასაში აღვივებს რევოლიუციონურ მოძრაობას და უკუღმა, ანტი ეროვნული მოძრაობა ანელებს რევოლიუციონურ ენერგიას და ხდება ანტირევოლიუციონურ მოვლენად. აი კიდევ საბუთი სოციალისტ-ფედერალისტთა პოზიციის სისწორისა; რუსეთის რევოლიუცია განამტკიცა რუსეთის სინამდვილემ, როდესაც განაპირა ქვეყნებში რევოლიუციონური სულისკვეთება განელდა და იმის გამო, რომ შემოტანილმა რევოლიუციამ არა თუ არ განამტკიცა ეროვნული თავისუფლება, არამედ შეზღუდა და ზოგიერთი ეროვნული თავისუფლების სიმპტომები სრულიად მოსპო.

რამდენად რუსეთში რევოლიუციამ გამოიღო დადებითი ეროვნული ნაყოფი, იმდენად ასეთი ნაყოფი არა სჩანს განაპირა ქვეყნებში. აი ეს მოვლენა ჭეშმარიტ რევოლიუციონერს ვალდებულად ხდის თვით რევოლიუციის ინტერესებისათვის მეტი ანგარიში გაუწიოს მუშათა სულისკვეთებას, მეტი თავისუფლება მისცეს ეროვნულ შემოქმედებას, რომ რევოლიუციონური მოძრაობა გახდეს წმინდა ეროვნულ-კლასიურ მოძრაობად და ასეთი მოძრაობის ტალღის სტიქიამ გადააქცია მთელი აჯრებული მსოფლიო, მაგრამ რა უშლის ამას? რევოლიუციონურ პარტიებში, განსაკუთრებით კომუნისტურ პარტიაში მრავალი ანტიკომუნისტური ძალა შეიპარა, რომელიც სხვას ხმა-მაღლა ნაციონალისტს და შოვინისტს ეძახის, მაგრამ თვითონ კი ჩუმად მართლაც ნაციონალისტურსა და შოვინისტურ საქმიანობას ეწევა. ამის ნიმუშები ბევრი გვაქვს, ეს თვით გულშემატკივარმა კომუნისტებმაც იციან.

ყოველი გულწრფელი კომუნისტის და რევოლიუციონერის ვალია, გასწმინდოს რევოლიუციონერი პარტიები ასეთი ელემენტებისაგან და ჩვენს წრეს ჩამოაშოროს ყველა ის გამყალ-გამომყლელი გარეწარი, რომელიც ამღვრევს წყალს და რევოლიუციას ძირს უთხრის, ასეთები კი საბედნიეროდ ბევრნი არიან, ამათი ჩამოშორებით უზრუნველყოფთ მხოლოდ რევოლიუციის გამარჯვებას.

**ალ. დიდებულიძე.**

# მადლობის მაგიერ

(წერილი სართიჭალიდან)

ერთ საჩოთირო საგანზე მინდა ჩამოვაგდო სიტყვა.

ამ ბოლო დროს ხელოვნურ ნაწარმოებებს უცნაური მფარველები უჩნდება. მე მოგახსენებთ პროვინციის თეატრებზე.

ორიოდე კვირის წინ, [illegible] ეს ჩვენ გაზეთშიც იყო აღნიშნული, ექიმ ალექსიძის გამგეობით [illegible] რუსეთის [illegible] საპარგებლოდ [illegible] ქართულ ენაზე წარმოდგენილ იქმნა [illegible] ბილი ორ მოქმედებიანი პიესა: „პარიზელი ბიჭი". პიესაში პარიზელი ბიჭი ერთ ადგილას ამბობს: „ურაა ძველ გვარდიას და ჩემს ბებერ ბებიას". გ ერ იყო და პიესა გათავდა თუ არა, სცენაზე შემოიჭრა ადგილობრივი ფაენკომი და სთქვა: „ის ვინ იყო, რომ სცენაზე ძველი გვარდიის სახელი წამოიძახა! წარუდგინეს ქ-ნი მარიჯანი, რომელიც ამ საღამოს პარიზელი ბიჭას როლს ასრულებდა და აუხსნეს, რომ ეს რეპლიკა განზრახ კი არ იყო თქმული, არამედ პიესაში სწერია. ეს ინციდენტი თითქოს ამ საღამოსვე გათავდა, მაგრამ ტფილისიდან მოსულ განკარგულებით საინტერესოა. (ის აწერს ასეთ [illegible] გულებს ხელს?) ექიმი ალექსიძე, როგორც ინიციატორი ამ საღამოს მხატვრული განყოფილებისა, დაპატიმრებულ იქმნა ათი დღით.

მადლობის ნაცვლად ასე უნდა!

ამ სტრიქონების დამწერი მოწმე იყო ექიმი ალექსიძის დაუღალავ მუშაობის! საღამოს რომ მხატვრული ელფერი ჰქონოდა, მოიწვია მომღერალი სარაჯიშვილი, მგოსანი გრიშაშვილი, ყოველ წვრილმანს დიდი სიყვარულით უვლიდა გარს და ვისაც წარმოდგენილი აქვს პროვინციის სცენა, ის ადვილად წარმოიდგენს თუ რა ძნელია მხატვრული საღამოები და რთული პიესების დადგმა!!..

„პარიზელი ბიჭი" ცნობილი მელოდრამაა—კლასიკური პიესა. მოქმედება სწარმოებს პარიზში.. გიამბობთ მოკლედ შინაარს:—პარიზელი ბიჭი—ჟოზეფი ერთი პატიოსანი ბიჭია, პორუჩიკ მენიეს შვილი, რომელიც ვაგრამის ბრძოლაში იყო მოკლული.

ჟოზეფი მუშაობს სტამბაში, რომ გამოჰკვებოს ობოლი და ელიზა და უპატრონოდ დარჩენილი ბებია. მათ ოჯახს შეეჩვევა მდიდარ გენერლის მორენის შვილი ამედეი—რომელიც დაირქმევს ღარიბ მხატვრის სახელს, უმეგობრდება ელიზას და შეაცდენს... ჟოზეფი, როცა შეიტყობს ყოველივეს მიდის გენერლის ბინაზე, აუხსნის შვილის საქციელს; გენერალი მოიხმობს შვილს და წინადადებას აძლევს შეირთოს ელიზა. ჟოზეფი, რომელიც ისმენს ყოველივეს, ქუდს ჰკრავს ჭერში და გახარებული შესძახებს: „ურაა ძველ გვარდიას და ჩემ ბებერ ბებიას". როგორც ჰხედავთ ჩამატებული არაფერია! მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ გვარდია პარიზშიაც იყო და აქაც არსებობდა.

როგორც მოგახსენეთ მომქმედ პირს განზრახ არაფერი არ უთქვამს და ვისაც სურს დარწმუნდეს, იხილოს ვასო აბაშიძის მიერ შედგენილი „დრამები და კომედიები" (გვ. 267).

პირდაპირ წარმოუდგენელია! ნუ თუ შეიძლება საქმის გამოურკვევლად, სრულიად უდანაშაულოდ შეურაცყოფა მიაყენონ კაცს—პატივცემულ ექიმს, ხელოვნურ განყოფილების თავმჯდომარეს, რომლის ინიციატორობითაც გაიმართა საღამო და მადლობის მაგიერ ასე ტლანქად, ასე უხეშად მოექცნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ „ვიღაცას" ასე მოესურვა და პიესის შინაარსიც ვერ გაიგო რიგიანად!..

გაზეთ „კომუნისტს" არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ ასეთი მატაოცი პიროვნებანი, რომლებსაც ბოლშევიკებად მოაქვთ თავი, სახელს უტეხენ საერთო საქმესო!

ნუ თუ ასეთ კაცს, რომელსაც საქმისა არაფერი გაეგება და თვით პიესის შინაარსიც კი ვერ წარმოუდგენია—უფლება აქვს მადლობის მაგიერ შეურაცყოფა მიაყენოს სრულიად უდანაშაულო პიროვნებას? სირცხვილი! სირცხვილი!

ეს პირველი მაგალითი არ არის პროვინციის სცენებზე, და დროა მხატვრული ნაწარმოების გაუგებრობისთვის ასეთ ძალმომრეობას ბოლო მოეღოს!..

ერთი მსახიობთაგანი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—ცრ. მთავარი კომიტეტი.